

ნათუნა გელაშვილი /ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

**როგორ ვასწავლოთ ქართული ანბანი
(წერა, კითხვა, მოსმენა და წარმოთქმა)
სწრაფად და ეფექტურად?**

ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებაში სამი შტო იკვეთება:
1. ქართულის სწავლება საზღვარგარეთ (თურქეთში, ირანში) მცხოვრები ეთნიკური ქართველებისათვის;
2. ქართულის სწავლება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისათვის;
3. ქართულის, როგორც სრულიად უცხო ენის სწავლება უცხოელებისათვის.

მესწორედ ამ მესამეკატეგორიას, უცხოელებს, კერძოდ ინგლისურ ენოვან უცხოელებს ვასწავლი.

ვინ არიან ჩემი მოსწავლეები?

დაახლოებით 14-15 წელია, რაც ვასწავლი ქართულს უშუალოდ ან ინტერნეტით. თითქმის ყოველთვის ჩემი მოსწავლეები არიან დამწყები, მოზრდილი ინგლისურენოვანი ადამიანები სხვადასვა ქვეყნიდან, რომლებიც ქართულს სწავლობენ პრაქტიკული მიზნებით. მათი მოტივაცია შეიძლება იყოს:

- ელემენტარული კომუნიკაცია (თავის გატანა);
- პატივისცემა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ;
- ლინგვისტური ცნობისმოყვარეობა;
- პირადი კავშირები ქართველებთან (მეგობრობა, ნათესაობა, სიყვარული);
- სამსახურებრივი მოთხოვნა (ჩასაბარებელი ტესტი ქართულ ენაში);
- ბიზნესი საქართველოში.

საჭიროა თუ არა მათთვის ანბანის, ანუ წერა-კითხვის სწავლება?

ხანდახან ასეთ მოსწავლეებს არააქვთ იმდენი დრო, რომ ნელა და გულმოდგინედ ისწავლონ ქართული ენა. მოკლე კურსიანი პროგრამის შედგენის დროს ყველაფერს გულმოდგინედ ვერ ვასწავლით, მხოლოდ ძალიან საჭირო ენობრივი მასალა უნდა შევარჩიოთ. ამიტომ, მოკლე კურსის პროგრამის შედგენისას ყოველთვის ისმის კითხვა, რა სჭირდებათ მოსწავლეებს პირველ რიგში, ამის მერე რა უფრო გადაუდებელი და აუცილებელია და ა.შ.?

ყოფილა შემთხვევა, მოსწავლეს უთქვამს, რომ არ უნდა წერის სწავლა, კითხვაც ცოტა სჭირდება, რომ ძირითადად ლაპარაკი და

მოსმენა უნდათ ისწავლონ. მაგალითად 1-3 კვირა, მე ვუხსნი, რომ ქართული ფონეტიკური ენაა და ანბანის სწავლა, თუ წერა არა, მინიმუმ, კითხვა მაინც მხოლოდ ეხმარება სწორ წარმოთქმას, სწორად გაგებას, თავის გატანას ქართულ გარემოში, რომ მხოლოდ სამეტყველო კომუნიკაციის სწავლა ძნელიც იქნება და ბევრ შეცდომასაც დაუშვებენ ამ დროს. წერა-კითხვის დროს მოსწავლე ხშირად აფიქსირებს თავის შეცდომას, მას ხშირად ერევა მსგავსი ბგერები, მაგალითად: ღილი-ხილი, ქარი-კარი, ჯერი-ჭერი, ფაფა-პაპა.

ანუ, ქართულის მოკლე კურსის სწავლების დროსაც კი საჭიროა ქართული ანბანის სწავლება.

როგორ ვასწავლი მე ანბანს?

შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ანბანური თანმიმდევრობით

პირველ რიგში, მცირე ინფორმაციას ვაძლევ ქართული ანბანის, მაგალითად, მსოფლიო ენების სისტემაში მისი ადგილის, ასოების (ხმოვნებისა და თანხმოვნების) რაოდენობის, ხაზთან მათი მიმართების და ა.შ. შესახებ.

მერე ვუკითხავ ანბანს 2-ჯერ ნელა და მკაფიოდ. ამ დროს მოსწავლეები აკვირდებიან ასოების მოხაზულობას და შესაბამის ტრანსლიტერაციის სიმბოლოს. არასდროს არ ვაძლევ ანბანს ასოების დასახელებით: ან, ბან, გან. . . ,

რადგან, ვფიქრობ, რომ ფონეტიკური ენის პრაქტიკული მიზნებით შესწავლის დროს ეს ენერგიის ფუჭი ხარჯვაა.

ამ ეტაპზე მოსწავლემ თავისი მშობლიური ენის ან ლინგვისტური გამოცდილების მიხედვით შეიძლება თავისებურად შეცვალოს ტრანსლიტერაციის მოცემული სიმბოლოები, მაგრამ მოგვიანებით ჩემს პროგრამაში ამ სიმბოლოებს გამოიყენებს:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჯ რ ს ტ უ

ab d e v z t i k' l m n o p' Zh R t' u


ს

ფ ქ ლ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

p k gh q' sh ch ts dz ts' ch' kh j h

2. ხელნაწერი

მერე ვაჩვენებ ხელნაწერ ასოებს და ისევ ვუკითხავ ანბანს.



ამ დროს სტუდენტები ადარებენ ხელნაწერი ასოების მოხაზულობას ბეჭდურს. ამ სურათებში გამოკვეთილია:

1. როგორ იწერება ასოები ხაზთან მიმართებაში
2. საიდან უნდა დავიწყოთ წერა ისე, რომ მარცხნიდან მარჯვნივ ვწერდეთ. მომავალში მრავალჯერ ჩაიხედავენ აქ.
3. ქართული ასო-ბგერების კლასიფიკაცია წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით

Vowels:

ა	ე	ი	ო	უ
a	e	i	o	u

Consonants:

Singles:

მ	ნ	რ	ლ	ვ	ჰ	კ
m	n	r	l	v	h	q'

System of Couples:

Voiced		Voiceless	
ზ	z	ს	s
ჯ	zh	შ	sh
ღ	gh	ხ	kh

System of Threes:

Voiced		soft	Voiceless	hard
ბ	b	ფ	პ	პ'
დ	d	თ	ტ	ტ'
გ	g	ქ	კ	კ'
ძ	dz	ც	ც'	ts'
ჯ	j	ჩ	ჭ	ch'

ეს ლინგვისტური კლასიფიკაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ასოების დასამახსოვრებლად. აქ ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება

და ანბანისაგან განსხვავებით ლოგიკურია, ამიტომაც, მას ხშირად მიმართავენ მოსწავლეები.

ამ კლასიფიკაციასაც 1-2-ჯერ ვუკითხავ, მომყავს მათთვის გასაგები ნიმუშები, მაგ. პიცა ც ასოსთვის. ცამბედავი მოსწავლე მაშინვე ცდილობს გაიმეოროს ახალი და მისთვის უჩვეულო ბგერები, მაგრამ მე ჯერ არ ვთხოვ რთული ბგერების წარმოთქმას. ამ ეტაპზე საკმარისია მსგავსი ბგერები განასხვავონ მოსმენით, მაგალითად. ფაფა-პაპა, თითა-ტიტა.

4. ქართული თანხმოვანი ბგერების შედარება ინგლისურ თანხმოვან ბგერებთან

მ	m	ზ	z	ს	s
ნ	n	ჟ	zh	შ	sh
რ	r	ღ	gh	ხ	kh
ლ	l	ვ	v		f
ჰ	h	ბ	b	ფ	p
ქ		დ	d	თ	t
	ჟ	ბ	g	ქ	k
	w	ძ	dz	ც	ts
	j	ჯ	j	ჩ	ch
	ð	თ	θ		

ნაცრისფერი აღნიშნავს ბგერებს რომლებიც მხოლოდ ამ ენაში (ინგლისურში ან ქართულში არსებობს)

5. ასოების ფილები

შემდეგ ვიყენებ ასოების ფილებს, ანუ პლასტიკის პატარა კვადრატებს ზედ ქართული ასოებით. ისინი ალებული მაქვსლინგვისტური თამაშიდან, “კროსვორდი“, რაც ჩემს მიერ ქართულად ადაპტირებული ინგლისური სამაგიდო თამაში **Scrabble**-ია. შესაძლებელია მუყაოსაგან ან ქაღალდისგანაც დამზადდეს ასოები. ჯერ ვთხოვ მოსწავლეებს, რომ მაგიდაზე დაალაგონ ფილები ისე, როგორც ლინგვისტურ კლასიფიკაციაშია. მათ შეუძლიათ ჩაიხედონ. მერე ვკითხულობთ და ვიმეორებთ ამ კლასიფიკაციას, მერე ვთხოვ შეტრიალდნენ, მე ვადგილებ გარკვეულ ასოებს, პირველ ჯერზე ადვილებს, მერე ძნელებს, ერთმანეთის მსგავსებს. მოსწავლე ცდილობს ყველაფერი თავის ადგილზე დააბრუნოს. შეიძლება ვთხოვო ააწყოს თავისი სახელი ან რამე მისთვის საინტერესო სიტყვა ფილებით.


რამდენიმე ასე თამაში საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლემ დაიმახსოვროს ანბანის 70-80%, თან ნაწილობრივ ასხვავებდეს ყრუ მკვეთრებს ყრუ ფშვინვიერებისაგან, რაც, ძალიან ხშირი პრობლემაა.

6. რამდენიმე ასო თითო ჯერზე

შემდეგ თითო ჯერზე 2-7 ახალი ასო შემომეძღეს ჩემი სახელმძღვანელოს Practical Georgian-ის გაკვეთილებში. იოსწავლე ამ ასოებს გამოწერს, მათი გამოყენებით შემდგარ სიტყვებს და წინადადებებს კითხულობს. ნაგალითად ასე:

კითხვა — Reading

<p>ა ი ე ს რ კ მ ah ee eh s r k' m</p> <p>—რა არის ეს? (What is this?) —ეს არის სკამი. (This is a chair.)</p>	
<p>ა ი ე ს რ კ მ დ გ ah ee eh s r k' m d g</p> <p>—რა არის ეს? —ეს არის მაგიდა. ის დგას. (It's standing.)</p>	
<p>ა ი ე ს რ კ მ დ გ ლ ah ee eh s r k' m d g l</p> <p>—არის ეს სკამი? —არა (no), ეს არ (not) არის სკამი. —არის ეს მაგიდა? —არა, ეს არ არის მაგიდა. —არის ეს კალამი? —კი (yes), ეს არის კალამი.</p>	



შემდეგ გაკვეთილში კიდევ ემატება ძველებს ახალი ასოები.

ამ ეტაპზე ვასწავლი თითოეული ახალი ბგერის სწორად წარმოთქმას, მაგრამ თუ მოსწავლეს ძალიან უჭირს წარმოთქმა სამეტყველო აპარატის თავისებურების ან სხვა მიზეზის გამო, არ ვაძალებ თქვას რთული ბგერა, მით უმეტეს, ენის გასატეხები ან რთულად წარმოსათქმელი სიტყვები, როგორებიცაა: “ბაყაყი წყალში ყიყინებს“, “მწვრთნელი“ ან “ჭუჭყიანი“. მათ ნელ-ნელა ისწავლის.

7. წერა

ახალი ასოების ნიმუშებს გამოვუწერ პირველი კლასის რვეულებში, რომლებშიც სპეციალური გრაფები ეხმარებათ მათ ხაზთან მიმართებაში სწორად დაწერონ ასოები.



თუ აქცენტი ზეპირმეტყველებაზეა, არ ვავალდებულებ ბევრ წერას. თუ მოსწავლეს სურს წერაშიც გაიწაფოს, მაშინ კარნახს ვაწერიანებ ჯერ ცალკეული ასოების ნაკადს ვკარნახობ და ასე წერს რაიმე კარგად ნაცნობ ან სასაცილოსი ტყვას ან წინადადებას, რომელსაც იოლად იგებს და მერე წავაკითხებ. ამისთვის მან უნდა ჩაწეროს ნაკარნახევი ბგერების ნაკადი და მერე სიტყვები გამოაცალკევოს. ამ დროს ხშირად ურევენ ყრუ მკვეთრებს და ყრუ ფშვინვიერებს, გასწორების შემთხვევაში კი იმანსოვრებენ სიტყვას სწორად.

ამგვარად ტექსტები თანდათან ტრანსლიტერაციის გარეშე შემოდის და ჩემი სახელმძღვანელოს **Practical Georgian**-ს ექვს გაკვეთილში, ანუ დაახლოებით 10-16 საკლასო საათში ანბანის პასიური, არამყარი ცოდნა ნელ-ნელა იცვლება სწორი წერა-კითხვა-მოსმენა-წარმოთქმით. პარალელურად სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მასალისა (მისაღმება, თავაზიანი ფრაზები, გაცნობა, ყიდვა, დათვლა, მრავლობითი რიცხვი, პირის, კითხვითი, კუთვნილებითი, ჩვენებითი ნაცვალსახელები და ა.შ.). ჩემი წიგნის მიზანიც ამ ეტაპზე შესრულებულია, წინ კიდევ ბევრი გაკვეთილია ანბანის შემდეგ, მაგრამ ეს ეტაპი გავლილია - ქართული, ანბანი, ჩემი აზრით ყველაზე ლამაზი ანბანი, უკვე შესწავლილია!

Khatuna Gelashvili /Tbilisi, Ivane Javakhishvili State University/

How to Teach Georgian Alphabet (Writing, Reading, Listening and Pronunciation) Quickly and Efficiently?

Resume

This presentation is to share my method of teaching the Georgian alphabet to English-speaking foreigners with you. The method ensues from my 15-years' experience in teaching Georgian as a foreign language and it is basically designed for adults, who study Georgian as a totally foreign language and they do it only for communication purposes. My program or my text-book Practical Georgian is a crash course of Georgian. In about 10-16 hours its user learns the Georgian alphabet, reading, writing the letters, correct pronunciation and relatively correct listening of Georgian sounds in addition to a lot of grammatical and lexical aspects. How do I do it?

1. First I make a little introduction about Georgian alphabet
2. Then I read the alphabet as students follow the shape of letters and its respective transcription symbols
3. Then we compare the printed alphabet to a handwritten one.
4. Then I give the linguistic classification of Georgian sounds
5. We compare the classification sets of Georgian and English consonant sounds
6. We practice and study the classification using letter tiles (made of plastic, cardboard, paper)
7. We study several letters carefully at one time, we read and write words made with these letters, we gradually increase the number of the learnt letters.
8. We write dictations.
9. Sometimes we go out on immersion activities and we read signs in the street.

This is how involving and exciting is the process of learning our most beautiful alphabet by my students.